დაუშვებელია საქმიანი ურთიერთობის დამყარება ან გაგრძელება[1] იმ კლიენტებთან, რომლებიც ერთ-ერთ ქვემოთ ჩამოთვლილ საქმიანობას ეწევიან:

განახლებულია 2025

არაეთიკური პრაქტიკა და შრომითი პირობები:

1. იძულებითი შრომის, მავნე ან ექსპლუატაციური ფორმების/ბავშვთა საზიანო შრომის[2] გამოყენებით პროდუქციის წარმოება ან საქმიანობა, დისკრიმინაციული საქმიანობა, ან ისეთი პრაქტიკა, რომელიც თანამშრომლებს უზღუდავს გაერთიანებების წევრობასა და კოლექტიური მოლაპარაკებების წარმოების კანონიერი უფლების გამოყენებას;
2. ნარკოტიკების წარმოება და/ან ვაჭრობა[3];
3. იარაღის (მათ შორის სანადირო თოფების) და სამხედრო დანიშნულების პროდუქციის წარმოება და ვაჭრობა[4];
4. აზარტული თამაშები (მათ შორის ონლაინ თამაშები), კაზინოები და მსგავსი სახის დაწესებულებები[5];
5. კრიპტოვალუტების გამოშვება ან კრიპტოვალუტის გაცვლის პლატფორმების ფუნქციონირება;
6. პროსტიტუცია ან ნებისმიერი ბიზნესი, რომლის ძირითადი საქმიანობა დაკავშირებულია პორნოგრაფიასთან;

ჯანმრთელობისათვის, უსაფრთხოებისა და გარემოსთვის საზიანო საქმიანობები:

7. შეუფუთავი აზბესტის ბოჭკოების, ან აზბესტის შემცველი პროდუქტების წარმოება, ვაჭრობა ან გამოყენება[6];
8. პოლიქლორირებული ბიფენილების შემცველი პროდუქტების წარმოება და ვაჭრობა[7];
9. ფარმაცევტული პრეპარატების, პესტიციდების /ჰერბიციდების და სხვა სახიფათო ნივთიერებების წარმოება ან ვაჭრობა, რომლებიც საერთაშორისო აკრძალვებს ან წარმოებიდან ეტაპობრივ ამოღებას ექვემდებარება[8];
10. რადიოაქტიური მასალების წარმოება ან ვაჭრობა (მათ შორის რადიოაქტიული ნარჩენების შენახვა და განკარგვა); ბირთვულ წარმოებასთან ან ბირთვულ მასალებთან დაკავშირებული ბიზნესი ან საქმიანობა[9];
11. არამდგრადი თევზჭერა[10];
12. ნავთობის ან სხვა საშიში ნივთიერებების გადაზიდვა ტანკერებით, რაც არ შეესაბამება საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის მოთხოვნებს[11];
13. საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია ბუნებრივ გარემოში გენმოდიფიცირებული ორგანიზმების გაშვებასთან კომპეტენტური ორგანოების ნებართვის გარეშე ან იმ ტერიტორიაზე, რომელიც სათანადო ორგანოს მიერ გენმოდიფიცირებული ორგანიზმებისგან თავისუფალ ზონადაა აღიარებული[12];
14. ვაჭრობა ველური ბუნებით ან ველური ბუნების იმ პროდუქტებით, რომლებიც რეგულირდება CITES-ით[13];
15. სამონადირეო მეურნეობები[14];
16. საერთაშორისო კანონმდებლობით აკრძალული ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადატანა[15];
17. ოზონის შრის დამშლელი ნივთიერებების წარმოება ან ვაჭრობა, რომლებიც საერთაშორისო დონეზე წარმოებიდან ეტაპოვრივ ამოღებას ექვემდებარება[16];
18. ხე-ტყის არამდგრადი ჭრა[17];
19. ალმასის მაღაროს ექსპლუატაცია და კომერციალიზაცია, თუ საქართველო არ არის წიაღისეულის მოპოვების შესახებ კიმბერლის ხელშეკრულების ან მოპოვებადი რესურსების შესახებ სხვა მსგავსი საერთაშორისო ხელშეკრულებების მხარე;
20. ლითონის, ნახშირის, ბიტუმოვანი ფიქალის და სხვა სასარგებლო წიაღისეულის მიწისქვეშა მოპოვება;
21. ხის ნახშირის წარმოება გარდა რეტორტის მეთოდის გამოყენებისა (დალუქული ლითონის კონტეინერების გამოყენება); ნეგატიური ზემოქმედება საზოგადოებაზე;
22. პროდუქციის წარმოება ან ვაჭრობა, ან ისეთი საქმიანობა, რომელიც აკრძალულია საქართველოს კანონმდებლობისა თუ ნორმატიული აქტების, ან საერთაშორისო კონვენციების და ხელშეკრულებების საფუძველზე, მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, ბიომრავალფეროვანი რესურსების და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ კანონმდებლობისა და კონვენციების საფუძველზე[18];

დაფინანსებას ვერ მიიღებენ ის კლიენტები, რომლებიც რომელიმე ქვემოთ მითითებულ საქმიანობას ეწევიან[19]

23. რეპროდუქციის კლინიკები და სხვა სამედიცინო დაწესებულებები, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ, სუროგაციით[20] (მაგ.: შუამავლობის ან სხვა სისტემატური ხელშეწყობის გზით) ან სხვა ეთიკურად საეჭვო სამედიცინო მკურნალობით არიან დაკავებულები, რაც მოიცავს გენეტიკური მასალის მოდიფიკაციას და მანიპულირებას, ან მიტოქონდრიულ ჩანაცვლებით თერაპიას[21] და პრაქტიკას, რაც ადამიანის ორგანოების კომოდიფიკაციას (საქონლად გადაქცევა) უზრუნველყოფს;
24. ნებისმიერი ზომის ჰიდროელექტროსადგურების აგება, რომლის დადგმული სიმძლავრე აღემატება მგვტს, აგრეთვე ჰიდროელექტროსადგურები, რომლებსაც გააჩნიათ დიდი ზომის კაშხლები დიდი მოცულობის წყლის შენახვის მიზნობრიობით[22];
25. ადგილობრივი მოსახლეობით, და/ან დაუცველი ჯგუფებით დასახლებულ მიწებზე, ამ ტერიტორიის შემოგარენში, ან ამ მიწაზე გამდინარე მდინარეზე საქმიანობა, როდესაც ბუნებრივი რესურსები გამოიყენება ისეთი საარსებო საქმიანობებისთვის, საძოვრების გამოყენება, ნადირობა, თუ თევზაობა;
26. საქმიანობები, რომლებმაც შეიძლება უარყოფითად იმოქმედონ კულტურული ან არქეოლოგიური მნიშვნელობის მქონე ადგილებზე;
27. საქმიანობა, რომელიც მოსახლეობის იძულებით გადაადგილებას გულისხმობს;
28. ალკოჰოლური სასმელების მსხვილი წარმოება და ვაჭრობა (ლუდის და ღვინის გარდა)[23];
29. თამბაქოს მსხვილი წარმოება ან ვაჭრობა[24];
30. ბუნების კონსერვაციის საერთაშორისო კავშირის (IUCN) I, III, IV კატეგორიებით გათვალისწინებულ დაცული ტერიტორიების ფარგლებში ან/და მათ მიმდებარედ განხორციელებული აქტივობები და აქტივობები IUCN-ის კატეგორიაში კლასიფიცირებული დაცული ტერიტორიების არაეკონომიკურ ზონებში[25];
31. ერთჯერადი პლასტმასის ნივთების ან/და პლასტმასის გრანულების მწარმოებლები, რომლებიც პროდუქციის დასამზადებლად იყენებენ ისეთი ტიპის გრანულებს, რომლის ბაზარზე განთავსება აკრძალულია ევროპარლამენტისა და საბჭოს დირექტივის (EU) 2019/904 შესაბამისად;
32. ქვანახშირითან დაკავშირებული პროექტები და აქტივობები[26].

1. ეს ნიშნავს, რომ ამ ტიპის კლიენტებისთვის აკრძალული იქნება ნებისმიერი საბანკო სერვისით სარგებლობა, ეს იქნება ანგარიშის გახსნა, თუ დეპოზიტებით სარგებლობა. იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩნდა, რომ ბანკის არსებული კლიენტი ჩართულია ქვემოთ აღნიშნული საქმიანობების განხორციელებაში, მისი ანგარიშები დაიხურება
2. ეს მოიცავს ადამიანების ტრეფიკინგთან დაკავშირებულ ნებისმიერ საქმიანობას. იძულებითი შრომა გულისხმობს არანებაყოფლობით სამუშაოს ან მომსახურებას, რომელიც შესრულებულია პირის მიერ ფიზიკური საფრთხის ან სხვა სახის მუქარის ქვეშ; ბავშვთა საზიანო შრომა გულისხმობს ბავშვთა შრომას, რომელიც ეკონომიკური თვალსაზრისით ექსპლუატატორულია, საზიანო მათი ჯანმრთელობისათვის ან ხელს უშლის მათ განათლებას, ფიზიკურ, გონებრივ, სულიერ, მორალურ ან სოციალურ განვითარებას; დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ: საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC) (იხ. IFC/MIGA -ს ერთობლივი პოლიტიკა იძულებითი შრომისა და ბავშვთა საზიანო შრომის შესახებ); შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) დეკლარაცია შრომის სფეროში ფუნდამენტური პრინციპებისა და უფლებების შესახებ და შემდეგი კონვენციებით გათვალსიწინებული პრინციპები: შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) 29-ე და 105-ე კონვენციები (იძულებითი და კაბალური შრომა),87-ე კონვენცია (გაერთიანების უფლება), 98-ე კონვენცია (კოლექტიური მოლაპარაკებების უფლება), მე-100 და 111-ე კონვენციები (დისკრიმინაცია); 138-ე (მინიმალური ასაკი); 182-ე (ბავშვთა შრომის უმძიმესი ფორმები); ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია;
3. ტერმინი „ნარკოტიკი" მოიცავს ყველა ბუნებრივ თუ სინთეტიკურ ნარკოტიკულ თუ ფსიქოტროპულ ნივთიერებას რომელიც განხილულია გაეროს ერთიანი კონვენციაში ნარკოტიკული საშუალებების შესახებ (1961 წლის) და ნარკოტიკებზე კონტროლის საერთაშორისო კომიტეტის (INCB) ყვითელი სიაშია მოქცეული. აკრძალულია ნებისმიერი ტიპის საქმიანობის დაფინანსება, რომელიც დაკავშირებულია ნარკოტიკების წარმოებასა და გაყიდვასთან, გამონაკლისს წარმოადგენს სამედიცინო და სამეცნიერო მიზნობრიობები, რომელიც განხილულია (1961 წლის) გაეროს (UN) კონვენციაში ნარკოტიკული საშუალებების შესახებ.
4. წინამდებარე დებულება არ მოიცავს უსაფრთხოების კომპანიებს, რომლებიც მცირე კალიბრიან იარაღს და სამხედრო ტექნიკას ყიდულობენ პირადი მოხმარებისათვის და არა გაყიდვის მიზნობრიობით.
5. წინამდებარე დებულება არ მოიცავს საქველმოქმედო ღონისძიებებს, რომლის ჩატარებიდან მიღებული შემოსავალი საერთო კეთილდღეობას ხმარდება, მათ შორის იმ ფიზიკურ თუ იურიდიულ პირებს, რომელთა წლიური ბრუნვის წილი აზარტული თამაშებიდან 25%–ზე ნაკლებია.
6. არ შეეხება შეფუთული აზბესტის ცემენტის შესყიდვას ან გამოყენებას, სადაც აზბესტის შემცველობა < 20%;
7. პოლიქლორირებული ბიფენილები: მაღალტოქსიკური ქიმიური ნივთიერებების ჯგუფი, რომელიც შესაძლოა აღმოჩნდეს 1950-1985 წლებში გამოშვებულ ზეთის ელექტრო ტრანსფორმატორებში, კონდენსატორებში და გამანაწილებელ აღჭურვილობაში.
8. შეზღუდული ან აკრძალული პროდუქტების ჩამონათვალი ხელმისაწვდომია საერთაშორისო საფინანსო კორპორაციასა (IFC) და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკში (EBRD). საცნობარო დოკუმენტებია: ევროსაბჭოს რეგულაცია (EEC) #2455/92 გარკვეული საშიში ქიმიკატების ექსპორტ-იმპორტის შესახებ, შესაბამისი ცვლილებებითურთ; გაეროს კონსოლიდირებული ჩამონათვალი იმ პროდუქტებისა, რომელთა მოხმარება და/ან გაყიდვა აკრძალულია, ამოღებულია, მკაცრად შეზღუდულია ან დამტკიცებელი არ არის მთავრობების მიერ; ცალკეული საშიში ქიმიური ნივთიერებებითა და პესტიციდებით საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში წინასწარ ინფორმირებული თანხმობის პროცედურის შესახებ კონვენცია (როტერდამის კონვენცია); სტოკჰოლმის კონვენცია მდგრადი ორგანული დამაბინძურებლების შესახებ; მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის პესტიციდების კლასიფიკაცია სახიფათო შემადგენლობის მიხედვით
9. არ ვრცელდება სამედიცინო აღჭურვილობის, ხარისხის კონტროლის (გაზომვის) აღჭურვილობის და ნებისმიერი სხვა მოწყობილობის შესყიდვაზე, სადაც რადიოაქტიური წყარო მცირეა ან/და ადეკვატურად დაცულია;
10. ეს ჩანაწერი მოიცავს, უკანონო, დაურეგილირებელ, უნებრათვო (IUU) თევჭერას, აგრეთვე თევჭერას გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ სახეობებზე, დრიფტერული ბადეებით თევზჭერას ზღვაში, თუ ბადის სიგრძე აღემატება 2,5 კმ;
11. აღნიშნული მოიცავს: ტანკერებს, რომლებსაც არ გააჩნიათ MARPOL SOLAS სერტიფიკატები (მათ შორის, და არა მარტო, ვერ აკმაყოფილებენ უსაფრთხოების მართვის საერთაშორისო კოდექსს); ტანკერებს, რომლებიც შესულია ევროკავშირის შავ სიაში, ან აკრძალულია პორტებზე სახელმწიფო კონტროლის თაობაზე პარიზის მემორანდუმის საფუძველზე; ასევე ტანკერებს, რომელთა გამოყენება იზღუდება MARPOL–ის 1 დანართის 13G და 13H დირექტივებით. 25 წელზე მეტი ხანდაზმულობის ერთკორპუსიანი ტანკერის გამოყენება დაუშვებელია.
12. იმ ქვეყნებში, სადაც EBRD არის წარმოდგენილი: ბუნებრივ გარემოში გენმოდიფიცირებული ორგანიზმების გაშვებასთან დაკავშირებული საქმიანობის შესახებ უნდა ეცნობის EBRD-ს და უნდა ჩატარდეს ასეთი საქმიანობის ანალიზი მოქმედი მოთხოვნების შესაბამისად;
13. CITES: გადაშენების პირას მყოფი ველური ფაუნის და ფლორის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ კონვენცია. სახეობათა ჩამონათვალი შეგიძლიათ იხილოთ საერთაშორისო საფინანსო კორპორაციისგან (IFC) ან ევროპის გაერთიანებისა და რეკონსტრუქციის ბანკის (EBRD)მიხედვით. სიაში შეტანილი სახეობების სანახავად ეწვიეთ ვებ გვერდს: http://www.cites.org ან CITES -ის სახეობათა მონაცემთა ბაზას მისამართზე: http://www.cites.org/eng/resources/species.html.
14. ის კლიენტები, რომლებიც ახორციელებენ ეკოლოგიურად მდგრად სამეურნეო საქმიანობას თავისუფლდებიან ამ პუნქტისგან.
15. სახელმძღვანელო დოკუმენტებია: ევროსაბჭოს (EC) 2006 წლის 14 ივნისის რეგულაცია - #1013/2006 ნარჩენების გადაზიდვის შესახებ; ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) საბჭოს საბოლოო გადაწყვეტილება C(2001)107 აღდგენისთვის განკუთვნილი ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვაზე კონტროლის შესახებ C(92)39 საბოლოო გადაწყვეტილებაში ცვლილებების შესახებ; 1989 წლის 22 მარტის ბაზელის კონვენცია სახიფათო ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვებისა და მათ განთავსებაზე კონტროლის შესახებ. დამატებითი ინფორმაციის და ბაზელის კონვენციის გამარტივებული სახელმძღვანელოსთვის ეწვიეთ ვებ გვერდს: https://www.basel.int
16. ოზონის შრის დამშლელი ნივთიერებები: ქიმიური ნაერთები, რომლებიც რეაქციაში შედიან და შლიან სტრატოსფერულ ოზონის შრეს, რაც ფართოდ გავრცელებულ "ოზონის ხვრელებს" იწვევს. მონრეალის პროტოკოლში მოცემულია ოზონის შრის დამშლელი ნივთიერებების სია და მათი მიზნობრივი შემცირებისა და ეტაპობრივი ლიკვიდაციის თარიღები. მონრეალის პროტოკოლით რეგულირებადი ქიმიური ნაერთების სია, რომელიც აეროზოლებს, გამაგრილებლებს, ქაფწარმომქმნელ ნივთიერებებს, გამხსნელებსა და ხანძარსაწინააღმდეგო ნივთიერებებს მოიცავს, ასევე ხელმომწერი ქვეყნების შესახებ დეტალურ ინფორმაცია და ეტაპობრივი ლიკვიდაციის თარიღები, ხელმისაწვდომია IFC - სა და EBRD –ში.
17. არამდგრადი ჭრა გულისხმობს კომერციული ჭრის ოპერაციებს პირველად ტყეში, აგრეთვე ხე-ტყის ჭრასთან დაკავშირებულ ოპერაციებს, ნებისმიერი ტიპის ტყეში, რომელიც არ არის თანხვედრაში მდგრადი ტყის მენეჯმენტის და ვაჭრობის მოთხოვნებთან, გარდა სერტიფიცირებული მდგრად მართული ტყეებიდან;
18. ბიომრავალფეროვნების შესახებ შესაბამისი საერთაშორისო კონვენციები შეზღუდვების გარეშე მოიცავს: მიგრირებადი გარეული ცხოველების სახეობების დაცვის შესახებ კონვენციას (ბონის კონვენცია); საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი, განსაკუთრებით წყლის ფრინველთა საბინადროდ ვარგისი ტერიტორიების შესახებ კონვენციას (რამსარის კოვნენცია); ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის შესახებ კონვენციას (ბერნის კონვენცია); მსოფლიოს მემკვიდრეობის შესახებ კონვენციას; ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ კონვენციას.
19. იურიდიული პირებთან, რომლებიც ამ ქვეთავში ჩამოთვლილ საქმიანობას ეწევიან საკრედიტო კუთხით თანამშრომლობა ვერ მოხდება, მაგრამ შესაძლებელია ჰქონდეთ სადებეტო ანგარიშები და ახორციელებდნენ ტრანზაქციებს
20. აღნიშნულის საფუძველზე, ქალი (სუროგატი დედა) თანახმაა სხვა პირის ან პირების შვილი გააჩინოს, რომელიც (რომლებიც) ბავშვის მშობელი (მშობლები) გახდება (გახდებიან). პროკრედიტ ჯგუფი ექვემდებარება გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 1591 მუხლს, რომლის საფუძველზეც ბავშვის დედა არის ქალი, რომელიც შობს მას.
21. ინ ვიტრო განაყოფიერების განსაკუთრებული ფორმა, რომლის დროსაც მომავალი ბავშვის გარკვეული ან ყველა მიტოქონდრიული დნმ მესამე მხარისგან მოდის და შეიძლება შეიცავდეს დედის თითისტარისებრი სტრუქტურების გადაცემას, პრონუკლეურ გადაცემას და პოლარული სხეულის გადაცემას
22. დიდი კაშხლების მშენებლობა, რომელიც საერთაშორისო კომისიის (ICOLD) მიხედვით, კაშხალი, რომლის სიმაღლეა 15 მეტრი ან უფრო მეტია, წყალსაცავი მოცულობა 3 მილიონ მ3-ზე მეტია, ითვლება დიდად.
23. აღნიშნული არ ეხებათ ამ კატეგორიის ქვეშ დაფინანსებულ იურიდიულ პირებს, რომლებიც მდგარდი მეთოდების გამოყენებით ახდენენ საქმიანობის განხორციელებას, აგრეთვე იურიდიულ პირებს, რომელთან სესხის თანხა ≤ 50 000 ევროს. არაპირდაპირი მოპოვება გულისხმობს, რომ აღნიშნული საქმიანობა არის დამხმარე და არა ძირითადი
24. აქაც იგივე წესი ვრცელდება, რაც წინას შემთხვევაში იხ. კომენტარი 23
25. ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (IUCN) მიერ აღიარებულ I-IV კატეგორიის დაცულ ტერიტორიებზე ბიზნეს საქმიანობის განხორციელების ტერიტორიის სიახლოვის აღიარება დამოკიდებულია დაცული ტერიტორიების კონსერვაციის მიზანსა და განსახორციელებელი საქმიანობის თავისებურებებზე. თუ, ბიზნეს საქმიანობის განხორციელების ტერიტორია მდებარეობს ზემოთ აღნიშნული კატეგორიის დაცული ტერიტორიებიდან 500 მეტრის რადიუსში, მაშინ სიახლოვის განსაზღვრა მოხდება ინდივიდუალური განხილვის საფუძველზე. თუ საქმიანობების განხორციელების ტერიტორია მდებარეობს ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (IUCN) მიერ აღიარებულ I-IV კატეგორიის დაცულ ტერიტორის ფარგლებში ან მიმდებარედ და აღნიშნული ტერიტორია წარმოადგენს დასახლებული პუნქტს, დამოუკიდებელი ექსპერტის ჩართულობით შესაძლებელია განხილული იქნას კონკრეტული შემთხვევა, შესაბამისად მისი დასკვნის საფუძველზე თუ აღმოჩნდება, რომ საქმიანობის განხორციელება არ არის დაკავშირებული მნიშვნელოვან, შეუქცევად და არასასურველ შედეგებთან და ემსახურება სოციალური პირობების გაუმჯობესებას, შესაძლებელია გამონაკლისი შემთხვევის განხილვა პროექტის დაფინანსების თაობაზე. ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორაგანიზაციის (OECD) განმარტებით დასახლებული პუნქტი მოიცავს: (ა) თავშესაფრისა და ინფრასტრუქტურის ფიზიკურ კომპონენტებს; და (ბ) სერვისები, რომლებსაც ფიზიკური ელემენტები უზრუნველყოფენ მხარდაჭერას, იგივე სათემო მომსახურება, როგორიცაა განათლება, ჯანმრთელობა, კულტურა, კეთილდღეობა, დასვენება და კვება (წყარო: OECD-ის სტატისტიკური ტერმინების ლექსიკონი). აქტივობები ნებისმიერ სხვა დაცულ ტერიტორიაზე, უნდა შეფასდეს შემთხვევის მიხედვით. სხვა დაცული ტერიტორიები შეიძლება კლასიფიცირებული იყოს, მაგალითად, IUCN-ის V და VI კატეგორიები, იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლები, რამსარის საიტი (კონვენცია ჭარბტენიანი საერთაშორისო მნიშვნელობის შესახებ), ზურმუხტის საიტები (ბერნის კონვენცია), Natura 2000, ძირითადი ბიომრავალფეროვნების ტერიტორიები.
26. ქვანახშირთან დაკავშირებული პროექტები ეხება ახალ პროექტებს, მათ შორის ქვანახშირის მოპოვებას, ქვანახშირის ტრანსპორტირებას, ასევე ინფრასტრუქტურულ სერვისებს, რომლებიც ექსკლუზიურად არის განკუთვნილი რომელიმე ამ საქმიანობის მხარდასაჭერად და ნახშირზე მომუშავე ელექტროსადგურებს.